სსიპ შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

ი.მ. „ი.შულაია“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2015 წელი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი"), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი **თეონა ხუფენია** და მეორე მხრივ ი.მ. ,,ი.შულაია" (შემდგომში ,,ი. შულაია"), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – **ირაკლი შულაია** საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1
მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და **ი.მ. ,,ი.შულაია"-ს** შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას **„ფარმაცევტის თანაშემწის"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული/დარგობრივი კომპონენტებისა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

მუხლი 2
მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად **ი.მ. ,,ი.შულაია"** იღებს ვალდებულებას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოს ხელმისაწვდომი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული და პროფესიული სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის **ი.მ. ,,ი.შულაია"** იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .4.

სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით , შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

თეონა ხუფენია _____

საკონტაქტო ტელ: 577 41 90 41

მისამართი.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14

ი/მ. „ი.შულაია“

დირექტორი

ირაკლი შულაია _____

საკონტაქტო ტელ: 599 97 91 31

მისამართი: ქ.სენაკი რუსთაველის #167